

ა ნ გ ა რ ი შ ი

საქართველოს კონტროლის პალატის დელეგაციის ვიზიტი საფრანგეთში, 2009 წლის 28-29 მაისს პარიზში გამართული INTOSAI-ს სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად

საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მაოდგილემ დევი ვეფხვაძემ და იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა ნატო ზაალიშვილმა მონაწილეობა მიიღეს INTOSAI-ს სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში, რომელიც გაიმართა 2009 წლის 28-29 მაისს პარიზში, საფრანგეთში.

INTOSAI-ს სამუშაო ჯგუფი ჩამოყალიბდა 1992 წელს, INTOSAI მე-14 კონგრესზე. იდეის პრეზენტაცია მოხდა შემდეგი თემის ფარგლებში: „პროგრამის შეფასება: ახალი მიდგომა“.

მოკლედ პროგრამის შეფასების შესახებ:


როგორც ასეთი, პროგრამის შეფასებას არ აქვს უნივერსალური განმარტება და უმაღლეს აუდიტორული ინსტიტუციებს შეუძლიათ განმარტონ იგი. პროგრამის შეფასების განმარტების შემთხვევაში მათ მიეცემათ შესაძლებლობა, შეასრულონ თავიანთი ფინანსური და ეფექტიანობის აუდიტი პროგრამის შეფასებასთან ერთად.

პროგრამის შეფასება ფართოდ გამოიყენება შვედეთსა და აშშ-ში. იგი ხშირად დაკავშირებულია ეფექტიანობის აუდიტთან; თუმცა ამ უკანასკნელის მოქმედების სფერო შეიძლება იყოს ვიწრო ან ფართო.

არსებობს მოსაზრება, რომ უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუცია არ საჭიროებს განსაკუთრებულ მანდატს და ნებისმიერ მათგანს შეუძლია პროგრამის შეფასება განახორციელოს დამოუკიდებელი სახით ან გააერთიანოს ეფექტიანობის აუდიტში. თუმცა, პროგრამის შეფასება აშკარად სცდება ეფექტიანობის აუდიტს გამოყენებული მეთოდოლოგიებისა გამო.

იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილი სქემა, რომლის მიხედვით, ამ ორი მეთოდის ურთიერთმიმართება უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუციებს აძლევს შესაძლებლობას, რომ გახდეს უფრო მეტად „შემფასებლური, „ურთიერთგადამკვეთი“ პრაქტიკის შესაბამისად. ეფექტიანობის აუდიტში უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუციებს შეუძლიათ გამოიყენონ საყოველთაო აუდიტის მეთოდოლოგიები ან სხვა მეთოდოლოგიები, მათ შორის სოციოლოგიური მეცნიერების მეთოდები. ამაში იგულისხმება სხვადასხვა დონის კვლევა, ანალიზი ან შეფასება.

სქემა: ეფექტიანობის აუდიტი და პროგრამის შეფასება : ურთიერთმიმართება.



წყარო: შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისი და აშშ-ს სამთავრობო ანგარიშგების ოფისი

INTOSAI-ს აღნიშნული სამუშაო ჯგუფი მოწოდებულია, რომ უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუციებს მიაწოდოს სრული ინფორმაცია პროგრამის შეფასების შესახებ. მიზანი სამუშაო შეხვედრებისა არის INTOSAI-ს მომდევნო კონგრესზე, 2010 წელს პროგრამის შეფასების დამოუკიდებელი სახით წარდგენა და დამტკიცება.

სამუშაო შეხვედრა წარიმართა შემდეგი პროგრამით:

ხუთშაბათი, 28 მაისი, 2009 წ.

1. აშშ-ის სამთავრობო ანგარიშგების ოფისის მიერ შესრულებული შეფასების განხილვა. ნენსი კინგსბარი, გამოყენებითი კვლევისა და მეთოდების დეპარტამენტი, სამთავრობო ანგარიშგების ოფისი.
2. პროგრამის შეფასების მეთოდოლოგია და მექსიკის ფედერაციის უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუციის მიერ ჩატარებული იმუნიზაციის კამპანიის შეფასება. მარია მაგდალენა რეზა მენდიოლა
3. სემინარი: სახელმწიფო პოლიტიკა და პროგრამის შეფასება უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუციების მიერ: საერთაშორისო მიდგომა.

პირველი პანელი: შეფასება უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუციების მიერ, მეთოდები და პრაქტიკა

- პროგრამის შეფასების მეთოდოლოგია, შვეიცარიის ფედერალური ოფისის გამოცდილება, ემანუელ სანგრა, ეფექტიანობის აუდიტისა და შეფასების დეპარტამენტი.

- განვითარების ინდიკატორები, მიდგომა და მეთოდოლოგია გამოყენებული სახელმწიფო მომსახურების გადასინჯვის კომიტეტი, საანგარიშო პალატის დანაყოფი-ვინსენტ ლენა, უფროსი აუდიტორი, კომიტეტის გენერალური მდივანი

- ეფექტიანობის აუდიტი და პროგრამის შეფასება უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუციების მიერ, მეთოდები და პრაქტიკა-ჟან-ერიკ ფურუბო, ექსპერტი, შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისის წევრი

დღის ბოლოს შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა ბ-ნი ფილიპე სეგუინი, საფრანგეთის საანგარიშო პალატის პირველი პრეზიდენტი.

მეორე პანელი: უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუციები და გარე პარტნიორები

კონგრესსა და შეფასების ექტპერტიზის საზოგადოებასთან ურთიერთობების მართვა. ნენსი კინგსბარი, გამოყენებითი კვლევის და მეთოდების დეპარტამენტი, სამთავრობო ანგარიშგების ოფისი.

პარასკევს, 29 მაისს განხილულ იქნა პროგრამის შეფასების გეგმის პროექტი.